პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 43 (3273) 1 1967 წ. მარტი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

სამი ჩემპიონი

კრასნოდარში გაიმართა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 13 ნაკრები კოლექტივი. გუნდური პირველი ადგილი რსფსრ-ს „უროჟაის" ათლეტებმა დაისაკუთრეს. საინტერესოა ითქვას, რომ გამარჯვებულმა კოლექტივმა, რომელმაც 94 ქულა დააგროვა, სულ 2 ქულით გაუსწრო მეორე საპრიზო ადგილზე გამოსულ საქართველოს „კოლმეურნის" წარმომადგენლებს.

თავის მართლება და მიზეზების გარკვევა, რა თქმა უნდა, უაზრობაა ჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ II ადგილი ასეთ დიდ და პასუხსაგებ ტურნირში საპატიოა. მაგრამ შევნიშნავთ მხოლოდ ერთს: მსაჯები შეჯიბრების პირველ დღეს განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდნენ ჩვენი სპორტსმენების მიმართ.

ტურნირს მომზადებულნი შეხვდნენ ტაჯიკეთის, სომხეთისა და უკრაინის მოჭიდავეები და მომდევნო ადგილებიც ასეთივე თანმიმდევრობით გაინაწილეს: 3. „ხოსილოტი", 4. „სევანი", 5. „კოლგოსპნიკი".

პირად ჩათვლაში ჩემპიონის წოდება დაიმსახურეს: ტ. აბდურახმანოვმა (თურქმენეთი), ა. ზახაროვმა (რსფსრ), ა. ბოგუბაევმა (ყაზახეთი), ნ. ხოხაშვილმა (საქართველო), მ. ეზეევმა (ტაჯიკეთი), ა. ცხოვრებოვმა (საქართველო), ა. აიხანოვმა (ყაზახეთი), ო. კანდელაკმა (საქართველო).

რამდენიმე სიტყვა ჩემპიონებზე: ნ. ხოხაშვილის გამარჯვება კანონზომიერი და დამსახურებული იყო. იგი მთელი თავით მაღლა იდგა თავის მეტოქეებზე. ა. ცხოვრებოვმაც ტურნირი უნაკლოდ ჩაატარა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იგი ტრავმირებული იბრძოდა. თავი გამოიჩინა გუნდის ვეტერანმა ო. კანდელაკმა. მან დამაჯერებლად მოუგო თავის მეტოქეებს და მესამედ გახდა სოფლის სპორტსმენთა ჩემპიონი მძიმე წონაში.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქვემსუბუქი წონის ათლეტმა გ. ნიპარიშვილმაც („კოლმეურნე"). იგი პირველივე წრიდან აგრესიულად იყო განწყობილი და ტურნირი შემტევ სტილში დაამთავრა. ერთადერთი, ისიც სადაო დამარცხება ნიპარიშვილმა ბოგუბაევთან ორთაბრძოლაში იწვნია. იგი II ადგილზე დარჩა. ასევე მეორე ადგილი დაისაკუთრა ქვემძიმე წონის ათლეტმა შ. ოთიურაძემ, მაგრამ მისი შედეგიც საპატიოა, რადგან ახალგაზრდა მოჭიდავემ წინ გაუშვა გამოცდილი ოსტატი, საჭიდაო სარბიელის ვეტერანი ა. აიხანოვი.

ნ. კიკვაძე.

გუშინ თბილისის რკინიგზის სადგურის პერონზე კვლავ ჩამოდგა ტურისტული მატარებელი „შოთა რუსთაველი". ამჯერად ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ესტუმრნენ მზიური აჭარის წარმომადგენლები — ქობულეთის რაიონის მშრომელები. ჩამოსულთა შორის იყვნენ საკოლმეურნეო შრომის მოწინავე ადამიანები, საწარმოთა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები.

• • •

სურათზე: ქობულეთელ მშრომელთა ერთი ჯგუფი.

ფოტო ი. დავითიძისა.

ბარკლაი აოცებს მაყურებელს

მოსკოვი, 28 თებერვალი (**ტელეფონით**). ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მეორე დღეს ა. მეტრეველმა იოლად მოუგო უნგრელ ა. ეგოროვს — 6:2, 6:4. ამ გამარჯვებით იგი მეოთხედფინალში გავიდა. ამ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს აგრეთვე ივანოვმა, რომელმაც დაამარცხა ლამპი — 6:2, 7:5, ლეიუსმა (მოუგო უნგრელ ბორონის — 4:6, 6:0, 6:4), მოზერმა (მოუგო შვედ ჩოგბურთელ ჰოლმს—6:4, 6:1) და ფრანგმა ბარკლაიმ (გაიმარჯვა ლიხაჩოვთან — 6:3, 1:6, 6:3). ამ უკანასკნელმა მაყურებლები მოხიბლა ვირტუოზული თამაშით. იგი ორივე ხელით საუცხოოდ ფლობდა ჩოგანს. სათამაშო დარჩა კიდევ 3 მეოთხედფინალური მატჩი. ეს შეხვედრები გამოავლენს დანარჩენ 3 მეოთხედფინალისტს. ინტერესს იწვევს კაკულიასა და ვიაჩ. ეგოროვის შეხვედრა.

შერეულ წყვილთა შეხვედრის დროს დმიტრიევა — მეტრეველის „დუეტს" ჯეროვანი მეტოქეობა ვერ გაუწია ფრანგულმა წყვილმა ფორიუერ—პრუაზიმ. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 6:1, 6:4.

ქალთა ერთეულების მორიგი ბრძოლები ასე დამთავრდა: ბაკშეევა — სიმსონი — 6:2, 6:3, ლესტალი (შვეცია) — კივი — 2:6, 7:5, 6:4, პალმეოვა (ჩეხოსლოვაკია) — ტარანოვა—4:6, 6:4, 6:4, დმიტრიევა —ჩალკო—6:1, 6:3, ისლანოვა — ბორკა (უნგრეთი) — 6:2, 6:1, ბალინგი (დანია) — კული — 6:3, 6:3.

ჩოგბურთი

დღეს ნომერშია:

- ● კონკურსში გამარჯვებულნი მე-2 გვ.
- ● „კლდის ვეფხვები" მე-3 გვ.
- ● სპორტული დღეგრძელობა მე-4 გვ.

ფეხბურთი

გაბუეს „გურნიკი" თბილისში

დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე შედგება საინტერესო ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივი „ლოკომოტივი" შეხვდება პოლონეთის გუნდს ქ. ზაბჟედან — „გურნიკს".

მეშახტეთა ეს გუნდი ცნობილი უნდა იყოს ჩვენი ფეხბურთის მოყვარულთათვის. ქ. ზაბჟეში 1951 წელს იმყოფებოდა თბილისის „დინამო", რომელმაც მაშინდელი „გურნიკი" დაამარცხა ანგარიშით 4:0. სულ ახლახან კი ამავე გუნდმა ქუთაისში ფრედ ითამაშა „ტორპედოსთან" — 0:0.

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ „გურნიკი" პოლონეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია. იგი 7-ჯერ იყო თავისი ქვეყნის ჩემპიონი და 6-ჯერ თასის მფლობელი. „გურნიკის" შემადგენლობიდან 5 მოთამაშე შედის თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში, რომელთაგან აღნიშვნის ღირსნი არიან მცველი ოსლიზლო, თავდამსხმელები შოლტისიკი, ლიუბანსკი. გაზეთ „პშეგლონდ სპორტოვის" ანკეტის შედეგად, ოსლიზლო აღიარებულ იქნა პოლონეთის საუკეთესო ფეხბურთელად 1966 წელს. „გურნიკის" შემადგენლობაში გამოდის აგრეთვე პოლონური ფეხბურთის ვეტერანი, ცნობილი ფორვარდი პოლი.

პოლონეთის ეროვნული ჩემპიონატი ორ ეტაპად მიმდინარეობს: ჯერ პირველი ნახევარი, ე. წ. საშემოდგომო წრე, შემდეგ — საგაზაფხულო. შარშანდელი შემოდგომა „გურნიკმა" დაამთავრა 18 ქულით (8 მოგება, 2 ფრე, 3 წაგება) და ერთი ქულით ჩამორჩება I ადგილზე მყოფ „ზაგლემბეს" (სოსნოვეცი). ამ ორი ლიდერის მატჩი პირველ წრეში „გურნიკმა" მოიგო ანგარიშით 2:0.

ამრიგად, დღეს თბილისის „ლოკომოტივს" ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავს და სერიოზული გამოცდაც ელის.

გუშინ...

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე შეჯიბრებაში ჩატარდა კიდევ 2 მატჩი. ტაშკენტში ადგილობრივი „პახტაკორი" შეხვდა როსტოვის ასკ-ს ფეხბურთელებს. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:1.

ბაქოში ითამაშეს ადგილობრივმა „ნეფტიანიკმა" და მინსკის „დინამომ". ანგარიშით 1:0 მატჩი მოიგეს მინსკელმა ფეხბურთელებმა.

ალმა-ათის „კაირატისა" და მოსკოვის „სპარტაკის" გუნდების მატჩი გადატანილია 2 მარტისთვის.

ფეხბურთი

პრეზიდენტი ხსნის ჩემპიონატს

27 თებერვალს ვენის სასტუმრო „ვიენა ინტერკონტინენტალში" ავსტრიის ფედერალურმა პრეზიდენტმა ფრანც იონასმა გახსნილად გამოაცხადა ყინულზე ფიგურულ სრიალსა და ცეკვებში წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი. ასპარეზობაში გამოვლენ მასპინძელთა, აშშ-ის, გდრ-ის, გფრ-ის, იაპონიის, ინგლისის, იტალიის, იუგოსლავიის, კანადის, პოლონეთის, საფრანგეთის, სსრ კავშირის, შვეციის, შვეიცარიის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის უძლიერესი სპორტსმენები.

შეჯიბრება დაიწყო გუშინ და იგი 5 მარტს დამთავრდება.

ზამთრის პროფკავშირული სტარტი

ტერსკოლი. პროფკავშირების ზამთრის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სამთო-მოთხილამურეთა შეჯიბრებაში, რომელიც აქ დაიწყო, სწრაფდაშვების ტრასა — 2820 მეტრი ყველაზე სწრაფად (2.10,6) დაფარა 20 წლის მოსკოველმა სტუდენტმა ა. ტორმოსინმა. მომდევნო ადგილები დაიკავეს: ა. გერასიმოვმა (ლენინგრადი) — 2.11,6, ტ. მონასტირიოვმა (მოსკოვი) — 2.12,0.

გუნდურ ჩათვლაში ასეთი მდგომარეობაა: 1. ყაზახეთი, 2. მურმანსკის ოლქი, 3. მოსკოვი, 4. უკრაინა, 5. ლენინგრადი, 6. კრასნოიარსკის მხარე.

„კოლმეურნე" აქაც მეორე

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ჩერნოვცში გამართულ სოფლის მოჭიდავეთა პირად-გუნდურ ჩემპიონატში საქართველოს „კლასიკოსებმა" რ. რურუამ, გ. ბადაშვილმა და ნ. ძიმისტარიშვილმა პირველი ადგილები დაისაკუთრეს. ეს რა თქმა უნდა, დიდი წარმატებაა, მაგრამ ამას უნდა დავუმატოთ ი. სიორიძის მიერ დაკავებული II ადგილი მძიმე წონის ათლეტთა შორის.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები განაწილდა ასეთი თანმიმდევრობით: 1. უკრაინა — 106 ქულა, 2. საქართველო — 92, 3. რსფსრ — 90, 4. სომხეთი — 85, 5. ყაზახეთი — 83.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები და სოფლის სპორტსმენთა ჩემპიონის წოდება დაიმსახურეს: მ. ბალანმა (მოლდავეთი), ვ. ფომინიჩმა (უკრაინა), მ. იმამუტდინოვმა (ტაჯიკეთი), რ. რურუამ (საქართველო), ო. კორვატმა (უკრაინა), გ. ბადაშვილმა, ნ. ძიმისტარიშვილმა (ორივენი — საქართველო), ხ. გაცკოვსკიმ (უკრაინა).

• • •

სურათზე: რ. რურუას კრიტიკულ მდგომარეობაში ჰყავს სპორტის ოსტატი პ. ივაშჩენკო. ქართველი მოჭიდავის წმინდა გამარჯვება ამ ორთაბრძოლაში გარდუვალია.

10 საუკეთესო

წლის საუკეთესო მწვრთნელები მძლეოსნობაში! საქართველოში ამგვარი კონკურსის ინიციატორია ამ სახეობის რესპუბლიკური ფედერაცია. შარშან კონკურსმა ამ თავისებური შეჯიბრების პირობების გამოქვეყნებისთანავე ფართო პოპულარობა მოიპოვა და ლაურეატობისთვის მებრძოლთა რიგებში ყველა მწვრთნელი ჩადგა.

ამას წინათ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ შეაჯამა I კონკურსის შედეგები. აი, საუკეთესო მწვრთნელთა ათეული: № 1 მწვრთნელად ცნეს სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბ. დიაჩკოვი (თბილისი, „დინამო"). მისმა აღსაზრდელმა ი. დიაჩკოვმა შარშან სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა ათჭიდში, საერთაშორისო ოსტატის ნორმა შეასრულა და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა. ბ. დიაჩკოვის მეორე აღსაზრდელმა — სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, სპორტის ოსტატმა გ. გუდუშვილმა საკავშირო ჩემპიონატში III საპრიზო ადგილი დაიკავა ბადროს ტყორცნაში, ლ. გუგეშაშვილმა კი სპორტის ოსტატობა შეასრულა ათჭიდში.

ბ. ტყეშელაშვილს (თბილისი, „ბურევესტნიკი") ერთ-ერთ მოწინავე აღმზრდელად იცნობენ ჩვენს რესპუბლიკაში. შარშან მის მოწაფეებს ი. ზეინალ-ოღლისა და ი. ლოგუნოვს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ვ. შმაკოვიც** თბილისელია („ბურევესტნიკი"). იგი ორმა აღსაზრდელმა ასახელა: სპორტის ოსტატმა ჯ. გორძამაშვილმა სსრ კავშირის პირველობაში საპრიზო ადგილი დაიკავა შუბის ტყორცნაში და ევროპის ჩემპიონატში ცდიდა ძალას, როგორც ქვეყნის ნაკრების წევრი. სპორტის ოსტატმა ნ. თყროშიძემ რამდენიმე მაღალი სტაბილური შედეგი აჩვენა ბირთვის კვრაში.

ა. შჩერბინას (თბილისი, „სპარტაკი") სპორტული სახელი კარგა ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. იგი რომის ოლიმპიადაში საბჭოთა ათლეტებიდან ერთ-ერთი საუკეთესო იყო 50 კმ-ზე სპორტულ სიარულში (IV ადგილი). შჩერბინას სხვა შეჯიბრებებშიც მრავალგზის უსახელებია თავი, მწვრთნელობა კი შარშან დაიწყო და აი, მას აქაც უკვე საუკეთესოთა შორის ვხედავთ. შჩერბინამ შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთაგან ერთი — ი. დელა-როსა შარშან სპორტის ოსტატის ნორმის შესრულებას არც კი დასჯერდა, რამდენიმე ტურნირში მოიპოვა პირველობა, წლის დამლევს კი დელა-როსამ 50 კმ-ზე სპორტული სიარული მოიგო ოლიმპიური გუნდების ასპარეზობაში (ლენინაკანი) და სსრ კავშირის ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი.

რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავეა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ნ. ლობჟანიძე** (თბილისი, „ბურევესტნიკი"), ფაქტიურად იგია ჩვენი შუბის მტყორცნელების პირველაღმზრდელი. შარშან მისი მოწაფეებიდან მ. გრიგამ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

აფხაზეთში ადრეც ბევრი კარგი მძლეოსანი მოუმზადებიათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც სარბიელზე გამოვიდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ა. კერსელიანი** (სოხუმი, „დინამო"), მათი წარმატება კიდევ უფრო საგრძნობი გახდა. კონკურსში გამარჯვება კერსელიანს მოუტანა მისი აღზრდილების, საქართველოს ნაკრების წევრების ვ. სანეევის, ს. პოლის, ლ. შაბახოვასა და ს. პერვიშევას კარგმა მაჩვენებლებმა.

ე. გაგუას (თბილისი, განათლების განყოფილება) აღზრდილებიდან შარშან ყველაზე მეტად ვ. კონდრატიევმა ისახელა თავი. მან 3-ჯერ გააუმჯობესა ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი 200 მეტრზე რბენაში. კონდრატიევი ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატშიც მონაწილეობდა და ესტაფეტაში საპრიზო ადგილი მოიპოვა. შარშან გაგუამ მოამზადა კიდევ ორი პირველთანრიგოსანი — თ. ჩაჩუნაშვილი და ვ. იახშიანი.

საქართველოს ბევრი კარგი სპრინტერი აღუზარდა **ვ. სუხოტინმა** (თბილისი „ლოკომოტივი"). შარშან მან მოკლე მანძილებზე რბენაში სპორტის ოსტატთა რიცხვს კიდევ ერთი — ა. ანდრეევი შემატა.

საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **თ. ბურიაკოვმა** (თბილისი, განათლების განყოფილება) რესპუბლიკის ნაკრებს მისცა ნიჭიერი მძლეოსნები გ. კონონენკო, ლ. ტუმილინა, ე. გაბარაევი და ა. ჩერნიშოვი.

ქუთაისელმა მწვრთნელმა **ე. ალიშანოვმა** („დინამო") აღზარდა სსრ კავშირის ნაკრების წევრი ი. კოპელსკი და საქართველოს ნაკრების წევრი ლ. პაპოკა.

საქართველოს სსრ მძლეოსნობის ფედერაცია.

* * *

სურათებზე: საქართველოს მძლეოსანთა საუკეთესო მწვრთნელები: მარცხნივ — ბ. დიაჩკოვი, ზედა რიგში — მარცხნიდან მარჯვნივ — ბ. ტყეშელაშვილი, ვ. შმაკოვი, ა. შჩერბინა, ნ. ლობჟანიძე, ა. კერსელიანი, ქვედა რიგში — ე. გაგუა, ვ. სუხოტინი, თ. ბურიაკოვი, ე. ალიშანოვი.

[illegible]

● წალენჯიხა

დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა პირველი საშუალო სკოლის მოჭადრაკეთა ტურნირი. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I. ნ. ბელქანია, II. ვ. ჩიქობავა, III. გ. გვაზავა.

ო. სალია.

„ლელოს" წერილის კვალდაკვალ

„მდგომარეობა კი არ გაუმჯობესდა..."

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 7 იანვრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკია თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

როგორც ამ ქარხნის პარტბიუროს მდივანი ნ. ცერცვაძე რედაქციას ატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. მიღებულია ღონისძიებები მდგომარეობის უახლოეს ხანში გამოსასწორებლად.

ტანვარჯიში მეტი ყურადღების ღირსია!

მოზრდილებისთვის იაპონიაში ორი პროგრამა არსებობს: ერთი — 70 პროცენტამდე შემსუბუქებული, ოლიმპიური და მეორე — სრულფასოვანი. მათთვის წელიწადში ტარდება ორი შეჯიბრება — საკლუბო და საუწყებო. ასპარეზობა მოსწავლეებისთვისაც ორჯერ ეწყობა. 15-17 წლის ასაკის სპორტსმენების საასპარეზო პროგრამა ოლიმპიური პროგრამის ილეთებისგან შედგება. ტოკიოში გამოდის ჟურნალი „ტანმოვარჯიშე" და სპეციალური ბიულეტენი, მიძღვნილი ტანვარჯიშის საკითხებისადმი.

ტოკიოს ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობს 6 ათასი სტუდენტი. ამას გარდა, ფიზკულტურის ფაკულტეტები არსებობს უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებშიც.

რა მდგომარეობაა ჩვენში, კერძოდ, საქართველოში?

სკოლამდელ ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საკითხი ძირითადად საბავშვო ბაგებსა, ბაღებსა და სახლებში უნდა გადაწყდეს. მაგრამ როგორ გვაქვს ამ მხრივ საქმე? არ იქნება საკამათო, თუ ვიტყვით, რომ ცუდად. საბავშვო ბაღებში ბავშვები დარბიან, ხტუნაობენ, თამაშობენ, მაგრამ ყოველივე ამას ქაოტური ხასიათი აქვს. არც ერთ საბავშვო ბაღში არ ტარდება ფიზკულტურის გაკვეთილი, სადაც ჩართული იქნება ვარჯიშები განსაკუთრებული ჯგუფის კუნთების განვითარების, ძვალ-იოგოვანი სისტემის გამაგრების, ხერხემლის სვეტის სწორი მიმართულების დაცვის და სხვა მიზნით. ვერც ერთ ჩვენს საბავშვო ბაღში ვერ შეხვდებით მაღალი კვალიფიკაციის ფიზკულტურის მასწავლებელს, რაც, ჩვენის აზრით, მეტად საყურადღებო ფაქტია. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური განვითარების საკითხებზე თითქმის არაფერი იწერება.

საშუალო სკოლებში მოსწავლეები სამ ასაკობრივ ჯგუფად იყოფიან. უმცროსი — I-IV, საშუალო — V-VII და უფროსი — VIII-IX კლასები. პირველ ჯგუფში ფიზიკური აღზრდა იწყება და მთავრდება საკლასო ოთახში ჩვეულებრივი გაკვეთილის დროს ბავშვების ფეხზე ადგომითა და დასხდომით. ამ მეცადინეობას ატარებს არაკვალიფიციური მასწავლებელი (მხედველობაში გვაქვს ფიზკულტურის კვალიფიკაცია), რომლის დატვირთვაში ფიზკულტურისთვის განკუთვნილი საათებიც არის შეტანილი. I-IV კლასის მოსწავლეთა ასაკი 7-დან 12 წლამდე განისაზღვრება. სწორედ ამ პერიოდში უნდა ჩაეყაროს საფუძველი ბავშვის ფიზიკურ ჩამოყალიბებას. ამ საკითხზე დიდძალი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი კეთდება.

V-VII კლასების მოსწავლეებისთვის კვირაში ორჯერ ტარდება ფიზკულტურის 45-წუთიანი გაკვეთილი. მისი ხარისხი და შედეგი დიდადაა დამოკიდებული სკოლის სპორტული ბაზების ვარგისიანობასა და ფიზკულტურის მასწავლებლის მომზადების დონეზე. ფიზკულტურის გაკვეთილები ტარდება უფროსი ასაკის მოსწავლეებთანაც. პროგრამა (ფაქტიური) განისაზღვრება სპორტის იმ სახეობებით, რომლის სპეციალისტიც თვით მასწავლებელია და იმ საშუალებებით, რაც გააჩნიათ (სპორტული ბაზები). ამიტომ ფიზკულტურის გაკვეთილი ვერ წყვეტს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ამოცანას.

არადამაკმაყოფილებელია ფიზკულტურასა და სპორტში კლასგარეშე მეცადინეობის დონე. სკოლაში, უკეთეს შემთხვევაში, ჩამოყალიბებულია ერთი ან ორი სექცია სპორტის ამა თუ იმ სახეობაში და ამ სექციის მუშაობაც სეზონური ხასიათისაა. ფიზკულტურის მასწავლებელი იძულებულია მონაწილეობა მიიღოს მრავალ რაიონულ და საქალაქო ღონისძიებაში. აღნიშნულ სპორტულ შეჯიბრებებში ძირითადად მოსწავლეთა მცირერიცხოვანი ჯგუფი მონაწილეობს, და მიუხედავად სახეობების სხვაობისა, ამ ჯგუფის ყველა წევრს ერთი კაცი, ფიზკულტურის მასწავლებელი ხელმძღვანელობს. მას არც სხვა მასწავლებლები ეხმარებიან, არც ფიზკულტურული აქტივი.

ჩვენში არსებობს სპეციალიზირებული სკოლები სპორტის სხვადასხვა სახეობის მიხედვით. როგორც პრაქტიკამ დაადასტურა, ამ სკოლებმა ვერ შეასრულეს მათზე დაკისრებული ამოცანა. არც გასაკვირია, ისინი ხომ მხოლოდ დასახელებით განსხვავდებიან ჩვეულებრივი სკოლებისგან.

საკმარისი გვაქვს ბავშვთა რაიონული და ცენტრალური სპორტული სკოლები. შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოლო ხანს დიდად გაიზარდა მათი მატერიალური და სპორტული ბაზაც. მთავარი კი ის გახლავთ, რომ ამ სკოლების მუშაობის სისტემა უსწოროა და, აქედან გამომდინარე, დამაკმაყოფილებელი არ არის საქმიანობის შედეგიც.

ამ სკოლების უპირველესი უარყოფითი მხარე მომეცადინეთა დაკომპლექტების მეთოდია. მოწვეულ მწვრთნელს ეძლევა უფლება შეაგროვოს ბავშვები და გააერთიანოს ისინი რაიონულ სპორტსკოლაში. სპორტსკოლის მწვრთნელი ირჩევს ბავშვებს (დაახლოებით 10-12 წლის ასაკისას), უფრო ზუსტად, აკომპლექტებს ჯგუფს უმეტესად რაოდენობის და არა მომზადების დონის მიხედვით. ამ „რჩეულ" ბავშვებს ეთმობათ დრო საუკეთესო სპორტულ ბაზაზე, 10 ბავშვისთვის გამოიყოფა მწვრთნელი, ტარდება კვირაში სამ-ოთხჯერადი მეცადინეობა, საბოლოოდ კი ამ ჯგუფიდან შეიძლება არც ერთი არ დადგეს ტანმოვარჯიშე.

მწვრთნელს მუშაობის დაწყებიდანვე ამოცანად უსახავენ, რომ განსაზღვრული რაოდენობის თანრიგოსანი მოამზადოს. იგი იძულებულია ახალბედებს ყოველგვარი საერთო ფიზიკური მომზადების გარეშე ამეცადინოს, გამოიყენოს ბავშვისთვის ჯერ შეუფერებელი ვარჯიშები.

რაიონული სპორტსკოლების მოწინავე ტანმოვარჯიშეები უნდა გაერთიანდნენ ცენტრალურ ტანვარჯიშულ სპორტსკოლაში, მაგრამ აქაც ადგილი აქვს უხეშ დარღვევას. ცენტრალური სპორტსკოლის ჯგუფთა ნახევარზე მეტი ახალბედა ტანმოვარჯიშეებითაა დაკომპლექტებული.

ჩვენს რესპუბლიკაში არსებობს უამრავი სპორტული ჯგუფი სპორტსაზოგადოებებთან, ინსტიტუტებთან და სხვა, მაგრამ ამ ჯგუფთა დაკომპლექტებისა და წვრთნის საკითხიც იმავე პრინციპზეა აგებული.

დიდი მასშტაბის შეჯიბრებებთან დაკავშირებით, კომპლექტდება ქალაქის, რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. ამ კოლექტივებს ყოველგვარი პირობა აქვთ შექმნილი მთელი წლის მანძილზე ნაყოფიერი ვარჯიშისთვის. მაგრამ ყველაფერი რიგზე არც აქ არის.

იმის გამო, რომ „ულტრა" კლასის ტანმოვარჯიშეები ძალზე ცოტა გვყავს, რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში არასათანადოდ მომზადებული სპორტსმენები შედიან. მათ ჯერ იმ მასალის ათვისება სჭირდებათ, რაც ჯერ კიდევ ბავშვთა სპორტულ სკოლაში უნდა შეესწავლათ.

ჩვენის აზრით, ნაკრები გუნდების მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს მწვრთნელისა და მისი აღსაზრდელის არასწორი ურთიერთობაც. მწვრთნელი ტანმოვარჯიშესთან დგას იარაღზე ვარჯიშის დროს, ასრულებს დამზღვევის როლს, წმენდს ღერძისა და ორძელის ძელს, ეხმარება სპეციალური თვისებების გამომუშავებაში და, რაღა თქმა უნდა, აძლევს მეთოდურ მითითებებსაც; სწორედ ეს უკანასკნელი და არა სხვაგვარი დახმარება აღსაზრდელისადმი გახლავთ, ჩვენის აზრით, მისი ძირითადი ამოცანა.

თანამედროვე ტანვარჯიშში ღრმადაა შეჭრილი აკრობატიკისა და ქორეოგრაფიის ელემენტები. ამიტომ ტანმოვარჯიშის წვრთნაში ამ ორი დარგის სპეციალისტებიც მონაწილეობენ. სპორტსმენმა იცის, რომ მის სპორტულ ზრდაზე, პირველ ყოვლისა, ეს სამი სპეციალისტი (მწვრთნელი სპორტულ ტანვარჯიშში, აკრობატი, ქორეოგრაფი) ფიქრობს, თავად კი მათი მითითებების შემსრულებელია. ამრიგად, წვრთნის ასეთი მეთოდით ტანმოვარჯიშეს „ჩამორთმეული" აქვს საკუთარი ინიციატივა, მინდობილია მხოლოდ მწვრთნელების ცოდნაზე, მათ ნებასა და სურვილზე.

სპორტის სხვა დარგის სპეციალისტები დამიმოწმებენ: ყველა ბავშვს, რომელიც კი მომავალში დიდი სპორტის სარბიელზე აპირებს გამოსვლას, 10-15 წლის ასაკში სჭირდება მეტად მდიდარი მასალის ათვისება. საკამათო არც ისაა, რომ მომავალი სპორტსმენის ნიჭიერება შეუძლებელია გამოირკვეს საერთო ფიზიკური მომზადების შეუმოწმებლად. ამგვარი მომზადების საკითხი კი მხოლოდ ტანვარჯიშის საწყისების დაუფლებით უნდა გადაწყდეს. ეგეც არ იყოს, აუცილებელი ხომ არ არის ყველა ბავშვი მომავალში სახელგანთქმული სპორტსმენი გახდეს, განა ნორჩთა ფიზიკური გაჯანსაღება პატარა საქმეა?

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ:

უნდა შეიცვალოს სასკოლო ასაკის ბავშვთა ფიზიკური აღზრდის პროგრამა და, რაც მთავარია, დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

უნდა აიგოს რაც შეიძლება მეტი მარტივი ტიპის სპორტული მოედანი, სადაც ბავშვებს ექნებათ მთელი დღის მანძილზე ვარჯიშის საშუალება.

ბავშვების ფიზიკური აღზრდით უნდა დავაინტერესოთ ყველა მშობელი. ისინი თვითონაც უნდა იყვნენ ჩაბმული რაიმე ფიზკულტურულ, ან სპორტულ ღონისძიებაში და სხვ.

თ. სანებლიძე,
სპორტის ოსტატი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 41.

ჭადრაკი

ბევრი შეხვედრა არ დამთავრებულა

● თბილისის ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატში 12 ტურის შემდეგ ლიდერობენ: რ. ჯინჯიხაშვილი (9,5), ს. ჩეჩელიანი, გ. კალატოზიშვილი (7,5-7,5 ქულა და თითო გადადებული პარტია), დ. ჯანოევი (6,5 ქულა და 2 გადადებული პარტია), თ. ლომაია, გ. ციხელაშვილი, ე. მიქაელიანი (6-6 ქულა და თითო გადადებული პარტია).

ბოლო ორ ტურში ბევრი შეხვედრა არ დამთავრებულა. ლიდერთა უმრავლესობას, როგორც ზემოდასახელებულ მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობიდან ჩანს, თითო პარტია მაინც დაუმთავრებელი დარჩა. მათ უნდა მივუმატოთ მიქაძე (5,5), ბლაგიძე (5,5) და ეინშტეინი (5,5), რომლებსაც, აგრეთვე, თითო გადადებული პარტია აქვთ. ეს ყოველივე ამწვავებს ბრძოლას საქართველოს ჩემპიონატის საგზურებისთვის.

ალსანიშნავია, რომ ჯინჯიხაშვილმა მოუგო ვარდოსანიძეს და ციხელაშვილს, ლომაიამ — ბლაგიძეს.

● ქალთა ჩემპიონატში 12 ტურის შემდეგ ს. ივანოვას 10 ქულა აქვს, ა. შულმანს — 6,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, ვ. კუპრაშვილს — 6 ქულა და 2 გადადებული პარტია.

ბრძოლაზე უდავოდ უარყოფითი გავლენა იქონია ნ. ჩიქობავასა და ლ. ნაჭყებიას ჩემპიონატიდან გასვლამ. ყოველ ტურში ძალაუნებურად ისვენებს ორი მოჭადრაკე.

როგორ მიმდინარეობდა ბოლო ორი ტური? ივანოვამ მოუგო სარაიდაროვას. XII ტურში იგი ისვენებდა. კარგად ითამაშა ა. ნეჩესნიუქმა. მან ორი შეხვედრა მოიგო. გაიმარჯვა ა. გაგნიძემაც (კაჭარავასთან). ახალგაზრდა მოჭადრაკეების — ხუბულურისა და სანაძის საინტერესო შეხვედრა ყაიმით დასრულდა. XI ტურის პარტიები გოგონებს გადადებული აქვთ. ჩოშახიძესაც (5,5) ორი პარტია დარჩა დაუმთავრებელი.

თ. ნინოშვილი.



ა. ბლაგიძე

მეგობრული შარჟი რ. ჭიშისა.

25 დაფაზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოჭადრაკეთა ამხანაგური გუნდური მატჩი, რომელიც ამას წინათ ჩატარდა, მიეძღვნა საბჭოთა საქართველოს 46-ე წლისთავს. მატჩი მოეწყო 25 დაფაზე (20 ვაჟი, 5 ქალი).

ორთაბრძოლა დამთავრდა უნივერსიტეტელთა გამარჯვებით — 14:11.

I დაფაზე თ. კიკიანმა (უნივერსიტეტი) მოუგო რ. ჯინჯიხაშვილს, II — თ. გიორგაძემ (სპი) — გ. მაჭავარიანს, III — თ. ლომაიამ (სპი) — ე. უბილავას, IV დაფაზე ყაიმით დამთავრდა ეინშტეინ (უნივერსიტეტი) — ა. ბოკუჩავას შეხვედრა.

გოგონების I დაფაზე ნ. ალექსანდრიამ (უნივერსიტეტი) დამარცხა ც. კახაბრიშვილი.

გ. მიხაილოვი.

მთებო, გვაჩუქეთ წუთები

ის დილა ჩვეულებრივად გათენდა შავ ზღვაზე. დამსვენებლებმა ის-ის იყო სანაპიროზე მოიყარეს თავი „გასაშავებლად“, რომ ვიღაცის ხმამაღალი შეძახილიც გაისმა:

— შეხედეთ, შეხედეთ... აი, საოცრება!..

ხალხი მართლაც უცნაური სანახაობის მოწმე გახდა: „კრესტოვაია გორას“ მეჩეულ კლდეებზე თოკმობმული ადამიანები დაცოცავდნენ, უფსკრულებს ახტებოდნენ თავზე, თითქოს სიცოცხლე მობეზრდათო. მაგრამ მალე შიში გაიფანტა. დამსვენებლებმა იგრძნეს, რომ ის უცნაური ადამიანები საკმაოდ თავისუფლად გრძნობდნენ თავს სიპებზე.

ყირიმში, „კრესტოვაია გორას“ კალთებზე ტარდებოდა საკავშირო პროფკავშირების და სპორტსაზოგადოებათა საბჭოების პირველობა კლდეზე ცოცვაში. ჩვენი ქვეყნის სამოცამდე „კლდის ოსტატი“ ღებულობდა მასში მონაწილეობას. მრავალი მათგანი რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა ტრასის გასაცნობად (რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს), მუხლის გასამლელად და „თითების გასალესად“.

აქ იყო შარშანდელი ვერცხლის მედალოსანი კლდეზე ცოცვაში, ალმაათელი სპორტის ოსტატი, ასპირანტი ი. კასმაჩოვი, რომელმაც რაღაც წამები წააგო პირველ ადგილზე გასულ სპორტის დამსახურებულ ოსტატ, „კლდის ვეფხვად“ წოდებულ თბილისელ მიხეილ ხერგიანთან. წლეულს იგი შეჯიბრების ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლებოდა, მით უმეტეს, რომ მისი უპირველესი მეტოქე მიხეილ ხერგიანი არ ჩანდა, — ჯერაც არ დაბრუნებულიყო ტიან-შანის ექსპედიციიდან. „იქნებ ვერც მოასწროს ჩამოსვლა?“ — ფიქრობდნენ შეჯიბრების მონაწილეები. მათ, სხვათა შორის, ხელს აძლევდათ ეს ამბავი. იმ შემთხვევაში, თუ მიხეილი არ მიიღებდა მონაწილეობას ასპარეზობაში, ისინი თითო ადგილით წაიწევდნენ წინ. კასმაჩოვსაც ჰქონდა თავისი კონკრეტული გეგმები. იგი სწორედ „შურისძიების“ გრძნობამ ჩამოიყვანა ასე ადრე ყირიმში. მან მშვენივრად იცოდა: წინ გრძელი და ძნელი გზა ედო. ამიტომ მთელი ზაფხული გულმოდგინედ ემზადებოდა ამ დღისთვის. ახლა კი ყოველ უთენია გადიოდა ტრასზე და მონადირის თვალით ზვერავდა გასავლელ ბილიკებს. „რამდენიმე წამი... სულ რამდენიმე წამი... ხომ შეიძლება იმ წამების დაბრუნება?“ — და თავისთვის, გუნებაში საგულდაგულოდ ადგენდა „კრესტოვაია გორას“ ბილიკების მიკრორუკას. იყვნენ სხვა „შურისმაძიებელნიც“, ყოველი მათგანი ფიქრობდა წამებზე, წამის მეათედებზე, მეასედებზე, რომლებიც აუცილებლად უნდა გამოეტაცათ კლდეებისთვის და რომელთაც მათთვის გამარჯვება უნდა მოეტანათ.

ისევ ბურუსით მოცული რჩებოდა მთავარი საკითხი: გამოვიდოდა თუ არა ამ შეჯიბრებაში ხერგიანი, მოასწრებდა თუ არა ტიან-შანიდან დაბრუნებას?

დრო კი გადიოდა. თანდათან ფართოვდებოდა, იზრდებოდა კარვების ქალაქი. მოდიოდნენ და მოდიოდნენ უმამაცესი ადამიანები. „კრესტოვაია გორას“ კალთებზე აბლაბუდასავით დაიქსელა მთამსვლელთა თოკების ხლართი.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, ორჯონიკიძელმა სპორტის ოსტატმა, ალპურ ბანაკ „ჯაილიკის“ უფროსმა ვ. ზოლოტარიოვმა თანამსაჯებს ტრასის დაგეგმვა დაავალა. გაჩაღდა სამზადისი ბრძოლის დაწყებამდე სულ რაღაც ორი დღეღა რჩებოდა.

— მაგრამ, სად არის ხერგიანი? — კითხულობდა ხალხი, კითხულობდნენ მონაწილენი.

— მთავარი მსაჯი მხრებს იჩეჩავდა. მიხეილი არ ჩანდა. „იქნებ, ხელი ჩაიქნია?“ შარშან მან ხომ სულ რაღაც წამებით გაასწრო კასმაჩოვს, მხოლოდ წამებით, როცა მთელი ათი წლის მანძილზე კლდის ერთპიროვნულ „მეუფედ“ ითვლებოდა. ეს ათი წელი ვერც კი მიუახლოვდა ვინმე მის მაჩვენებლებს. კასმაჩოვის წარმატების ამბავი სენსაციად იქცა. და ახლა ფიქრობდნენ: იქნებ მართლაც ხელი ჩაიქნია მიხეილმა? მჯობთა მჯობი არ დაილევაო, მასაც ხომ უნდა აჯობოს ვინმემ?

ყოველივე ამას გრძნობდა თვითონ მიხეილიც მისი აზრით, შარშან I ადგილი მხოლოდ უზადო ტექნიკისა და სანახაობითი მხარისთვის მიაკუთვნეს მსაჯებმა.

„რა იქნა სისწრაფე?“

„რა მოუვიდათ ლეხზირისა და დალაყორას მიუვალ ქარაფებზე ადგმულ ნაბიჯებს?“

„ხოლო სვანი მონადირეები ასი წლისანი დაძუნძულებდნენ ჯიხვების კვალდაკვალ... სვანი მონადირეები, ჩვენი წინაპრები...“

ორთვიანი, შორეული ექსპედიციიდან დაბრუნებული მიხეილი სწორედ ასეთი ეჭვებით გაუდგა გზას ყირიმისკენ. ასეთი გრძელვადიანი ექსპედიციები სხეულს სისწრაფეს არ ასწავლის. პირიქით, — ადუნებს, სიზანტეს აჩვევს. კლდეზე ცოცვას კი გვარიანი ვარჯიში სჭირდება. მხოლოდ სიმსუბუქის გრძნობა როდი ნიშნავს კარგ სპორტულ ფორმას. მიუხედავად ამისა, იგი მიდიოდა იმედით, მიდიოდა გამარჯვების რწმენით.

მაგრამ ეჭვი საკუთარი შესაძლებლობისადმი უნდობლობას იწვევდა, სულიერ წონასწორობასა და სიმშვიდეს უფრთხობდა. არა, არ უნდა დარღვეულიყო სულიერი მყუდროება.

შეჯიბრების წინა დღეს, დილით, მთამსვლელებმა შენიშნეს: ბანაკს კიდევ ერთი კარავი მომატებოდა, — პირამიდისებრი, ცისფერი. ცისფერი კარავი კი მიხეილს უყვარდა. მაგრამ... ახლა იგი ცარიელი იყო. მერე ვიღაცამ დილის ბინდ-ბუნდში კლდეზე გაკრულ სილუეტებს მოჰკრა თვალი. ასე ადრე არავინ გასულა კლდეებზე. ესენი კი ამ ბანაკის ტრადიციას არღვევდნენ.

საქართველოს წარმომადგენლებმა — „კოლმეურნის“ წევრმა მიხეილ ხერგიანმა და „განთიადის“ წევრმა თ. ბაქანიძემ გადაწყვიტეს დარჩენილი მცირე დრო მაქსიმალურად გამოეყენებინათ და ალიონზე მიაშურეს კლდეებს.

მეორე დღეს მსაჯის სასტვენის ხმაზე ტრასაზე სხვადასხვა ნომრით გასულმა ქართველებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვიეს: „როგორ ივლიან შეუჩვეველ ბილიკებზე?“ საერთოდ, გამოცდილი მთამსვლელები ამ დროს ბოლო ნომრებად ცდილობდნენ ხოლმე გასვლას ახლა ერთხელ კიდევ ეძლევა კაცს საშუალება, დეტალურად აღიქვას გზა, პრაქტიკულად დააკვირდეს გასავლელ ტრასას, გამოზომოს ფეხის დასადგმელი ადგილები და შეისწავლოს შემოსავლელი „მარყუჟების“ პირდაპირი გადაჭრის შესაძლებლობები. და როცა მიხეილს სთხოვეს, როგორც საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონს, მას ამოეღო მონაწილეთა ნომრები, ეს შეღავათი სწორედ ალმაათელ მეგობარს დაუთმო.

და აი. გავლილია თითქმის ნახევარი... გავლილია კარგად. მაგრამ საჭიროა მეტი სისწრაფე, საჭიროა წამები. ეს წამები კლდეს უნდა გამოსტაცოს, აუცილებლად უნდა გამოსტაცოს. და უცებ ქვევიდან აზარტში შესული გულშემატკივრების ძახილი ესმის: მიშა, მარჯვნივ! მიშა, მარჯვნივ! მაგრამ მიხეილი მაინც პირდაპირ მიცოცავს. კლდეს აკვრია და მიცოცავს. აი, ცალი ფეხის დასადგმელი აღარსად არის. აი, ორივე ფეხი ჰაერში დარჩა და ხელებითღა ჰკიდია შვერილზე. ხუთ თითზე ჰკიდია ჩიტივით მოფართხალე გული, საბერველივით მქშინავი ფილტვები და მონადირული, ნახევრად მოჭუტული თვალები.

ქვევიდან ისევ ისმის სასოწარკვეთილი ძახილი. ქვევით ერთი ჩოჩქოლია. მიხეილი კი ავიდა მაღლა, მერე დაეშვა ძირს და ორი მოგებული წუთით მივიდა ფინიშთან. იმ ქიმს სხვა ვერავინ აახტებოდა. ის ქიმი კი ორი წუთი ღირდა.

საკმაოდ კარგად მიდიოდა მეორე ქართველის საქმეც. მაგრამ რას იზამდა კასმაჩოვი? მიხეილი დარწმუნებული იყო, რომ იგი მას ვერ დაეწეოდა. კასმაჩოვი ტრასიდან დაბრუნებული არ იყო და მანაც უკვე იცოდა: ხერგიანს ვერ დაეწეოდა. მართლაც ასე მოხდა: იგი წუთით ჩამორჩა მიხეილს, ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავდა. მესამე ადგილზე გავიდა ბაქანიძე.

შინ ბრუნდებოდნენ გამარჯვებულნი. გამარჯვებულნი და ამაყნი.

მირონ ხერგიანი.

• • •

სურათებზე: ზევით — მ. ხერგიანი (მარცხნივ) შეჯიბრების მონაწილეებთან; ქვევით — „კლდის ვეფხვები“ ხეზე ცოცვისას.

ფოტო ავტორისა.

ამიერკავკასიაში უძლიერესნი

თბილისში ორ დღეს მიმდინარეობდა „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს ამიერკავკასიის პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში.

გუნდური ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. თბილისი, 2. ბაქო, 3. ქუთაისი. აღსანიშნავია, რომ თბილისისა და ბაქოს მოჭიდავეებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ I ადგილი ჩვენი დედაქალაქის სპორტსმენებს ხვდათ წილად, რადგან მათ მეტი გამარჯვება ჰქონდათ.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. ტაგიევმა, მ. იბრაჰიმოვმა (ორივენი — ბაქო), ნ. თათარაძემ, რ. დოლონაძემ, ნ. ჯულაშვილმა (ყველანი — თბილისი), ლ. ლომთაძემ (ქუთაისი), ვ. სალიმშვილმა, გ. ლუდუშაურმა (ორივენი — თბილისი).

გ. დოლენჯაშვილი.

ბრძოლა ფინალის მისადგომებთან

საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალები

თელავის ნახევარფინალში 11 ტური ჩატარდა. ფინიშის მოახლოებასთან ერთად გამძაფრდა ბრძოლა იმ პირველი სამი ადგილისთვის, ფინალში თამაშის უფლებას რომ იძლევა.

ლიდერი გ. მუკნიაშვილი IX ტურში დამარცხდა ს. მეგრელიშვილთან, მაგრამ შემდგომ ტურში კვლავ დაწინაურდა.

ჯ. ინჯია თითქოს დაეწია ლიდერს, როცა IX ტურში მოუგო ა. ჩხაიძეს, მაგრამ XI ტურში მან შ. ხაბურზანიასთან წააგო. X ტურის პარტია ხ. მეგრელიშვილთან კი ინჯიას გადადებული აქვს.

ცვალებადი წარმატებით გამოდის ლანჩხუთელი ოსტატობის კანდიდატი ა. ჩხაიძე. IX ტურამდე იგი ფინალში გასვლის შანსს ინარჩუნებდა, მაგრამ ამ ტურში წაგების შემდეგ, ალბათ, ფინალში ვერ მოხვდება.

11 ტურის შემდეგ ლიდერობენ: გ. მუკნიაშვილი (გორი) — 8 ქულა და 1 გადადებული პარტია, ოსტატობის კანდიდატები — შ. ხაბურზანია, ხ. მეგრელიშვილი (ორივე — თბილისი) — 7,5-7,5 ქულა და თითო გადადებული პარტია, უ. მზარეულია (წალენჯიხა) — 7,5, ჯ. ინჯია (გორი) — 7. თელაველ ხ. მეგრელიშვილს 4,5 ქულა და 3 გადადებული პარტია აქვს.

გ. ელიოზიშვილი,

ნახევარფინალის მთავარი მსაჯი.

სურათზე: ა. გურასპიშვილის (მარცხნივ) და ა. ჩხაიძის შეხვედრა.

• • •

ამბროლაურის ნახევარფინალის სტარტზე საინტერესო სპორტული ბრძოლა გააჩაღეს ოსტატობის კანდიდატებმა ა. ბრეიტმანმა (ტყვარჩელი), ა. რაზოვსკიმ (ქუთაისი), პირველთანრიგოსნებმა — ა. გვენცაძემ (ამბროლაური), ნ. გოგაძემ, რ. კაპანაძემ (ორივე — თბილისი) და შ. თოთლაძემ (გორი).

განვლილ შვიდ ტურში იმარჯვა რაზოვსკიმ, რომელმაც 6 ქულა მოაგროვა. IV ტურამდე წინ იყო თოთლაძე, მაგრამ ქუთაისელ რ. ძირელაშვილთან დამარცხების შემდეგ მან ლიდერთა მეორე ეშელონში გადაინაცვლა.

ჭიათურელმა დ. ჩომახიძემ მოუგო ბრეიტმანს და ამით შეანელა მისი წინსვლა. საინტერესოა, რომ სტარტზე ყველა მონაწილემ იწვნია წაგება.

7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: რაზოვსკი (6), ბრეიტმანი, გვენცაძე (5,5-5,5), კაპანაძე (5), ძირელაშვილი, თოთლაძე, გოგაძე (4,5-4,5).

ს. ზუზუნაშა,

ნახევარფინალის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

მ. მერჟანოვი

ფეხბურთის ოლიმპზე

ჩვენი ნაკრების მეტოქე მეოთხედფინალში იყო უნგრეთის გუნდი,— ძველი, გამოცდილი, ნაწრთობი მოწინააღმდეგე. ამ ორი გუნდის ოფიციალურ თუ ამხანაგურ შეხვედრათა გრძელ სიაში გამარჯვება საერთო ჯამში საბჭოთა ფეხბურთელთა მხარეს იყო.

უნგრელთა მწვრთნელმა ლ. ბაროტიმ ინგლისში ჩამოიყვანა ნამდვილი ექსტრა-კლასის გუნდი, რომელმაც ჩვენს თვალწინ „ორივე ბეჭზე" დასდო მსოფლიო ჩემპიონი და, ამასთან, ბრწყინვალე თამაში აჩვენა.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი საგონებელში გვაგდებდა, მაგრამ იმედის ნაპერწკალი მაინც ღვიოდა: უნგრელ ფეხბურთელებს, მათს სტილს, მანერას, ტაქტიკას, ჩვენი ოსტატები კარგად იცნობდნენ. ამიტომ საბჭოთა გუნდს შეეძლო ეთამაშა როგორც თანაბარს — თანაბართან და როცა საქმე თანაბრობაზე მიდგება, იქ ყველაფერია მოსალოდნელი.

დასაწყისმა ნათელყო, რომ თამაში იქნებოდა დაძაბული, მჭიდრო და პერსონალური. ერთი — ერთზე. ძალათა თანაფარდობისას წარმატება ხშირად მოაქვს მეტოქის შეცდომას, იღბალს. ჩვენი ფეხბურთელები „ბეტონის" კედლად არ დამდგარან იმ გუნდის წინაშე, რომელსაც „ოქროს ქალღმერთის" მოგების პრეტენზიები ჰქონდა. ეს სწორი გამოდგა. თავიდანვე თვალში მოსახვდებოდათ მესესა და მატრაის ნაჩქარევი მოძრაობები, ჩისლენკომ რამდენიმეჯერ გვერდი აუარა შეპეშის. მე-5 წუთი საბედისწერო აღმოჩნდა უნგრელთათვის: მეკარე გელეიმ მოულოდნელად ფეხებს შუა გაუშვა სავსებით იოლი ბურთი, ხოლო ჩისლენკომ იგი ბადეში გაგზავნა — 1 : 0.

უნგრელთა მწვრთნელს ლ. ბაროტის სახე შეეცვალა. უკვე მერამდენედ ღალატობენ მას მეკარეები!

უნებურად გაგვახსენდა ანკეტა, სადაც ჟურნალისტებს სულ ერთი შეკითხვით მიმართეს: „ვის მიანიჭებდით პირველ ადგილს სიმამაცისთვის?". გამოკითხვის შედეგად მეორე ადგილი მიეკუთვნა უნგრეთის ნაკრებს, რომელმაც „გაბედა ინგლისში ჩამოსვლა ისეთი მეკარეებით, სრულიად იოლ ბურთებს რომ უშვებენ კარში".

ეს ნათქვამი არ იყო მოკლებული ჭეშმარიტებას, განსაკუთრებით, თუ გავიხსენებთ, პორტუგალიელ ფორვარდთა როგორი ბურთები გაუშვა უნგრელთა კარის დარაჯმა სენტმიხაიმ.

მაგრამ, დავუბრუნდეთ მატჩს. პირველ ტაიმში არა თუ არ გვინახავს უნგრელთა უპირატესობა ჩვენს გუნდზე, პირიქით სად იყვნენ ბენე და ალბერტი, რომლებსაც ზოგიერთი ჟურნალისტი თითქმის პელეზე მაღლა აყენებდა, სად იყვნენ ფარკაში, რაკოში? ისინი არ ჩანდნენ. ალბერტი, რომელიც ამინდს ქმნიდა ბრაზილიასთან მატჩში, ამჯერად პირისპირ შეეტაკა არა ბელინის, არამედ ვორონინს, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა მას. ამასთან, ვორონინი უნგრელთა მრისხანე ფორვარდის „ჩრდილს" კი არ წარმოადგენდა, არამედ წინასწარ ხვდებოდა მის ჩანაფიქრს, სწორად ირჩევდა პოზიციას. რაც შეეხება ბურთის ფლობის ტექნიკას, აქ მათი შესაძლებლობები თანაბარი იყო.

როცა ვუყურებდი ვორონინის თამაშს უნგრეთთან და შემდეგ პორტუგალიასთან, ეუსებიოს წინააღმდეგ, უნებურად ვფიქრობდი: რატომ იყვნენ ამ ფეხბურთელის მიმართ ასე განწყობილი მწვრთნელები? იგი, როგორც იტყვიან, ყოველთვის „საგანგებო მდგომარეობაში" იმყოფებოდა. ჟურნალისტებს უკრძალავდნენ მასთან საუბარს. ვორონინს ნება არ ჰქონდა ტელეფონთან მისულიყო. და ერთხელ იყო შემთხვევა, როცა საწვრთნელი ვარჯიშის ნაცვლად იგი წაიყვანეს... ბანკეტზე. მწვრთნელებს არ უნდოდათ გამოეყვანათ ვორონინი ძირითად შემადგენლობაში და ფიქრობდნენ, რომ ამით სჯიდნენ არა საკუთარ თავს, არამედ ფეხბურთელს. იგი მაინც მოხვდა ნაკრებში, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც სიჭინავა და სერებრიანიკოვი დაშავდნენ. მწვრთნელები დარწმუნდნენ, რომ უვორონინოდ თამაში ძნელი იყო.

რა ბრალი დასდეს ვორონინს? „იგი არ იქცევა როგორც ჩვენ გვინდა, არ ასრულებს მინდორზე მწვრთნელის მითითებებს, თამაშობს მაყურებლისთვის" და ა. შ. ვორონინი კი თამაშობდა ისე, როგორც შეეძლო და ლამაზადაც თამაშობდა. ეტყობა, ჩვენი გუნდის ხელმძღვანელებს არ ჰყოფნიდათ აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილება და იცოდნენ მხოლოდ ერთი: სასჯელი „დაუჯერებლობისთვის". ისღა დაგვრჩენია ნათქვამს დავსძინოთ, რომ ვრცელი გამოკითხვის შემდეგ ვორონინმა მსოფლიოს 11 უძლიერეს მოთამაშეს შორის დაისაკუთრა ადგილი.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ „იზვესტიამ" მოაწყო საერთაშორისო ანკეტა მსოფლიოს 11 გამორჩენილ საფეხბურთო მიმომხილველსა და სპეციალისტს შორის. შვიდმა მათგანმა მსოფლიოს საუკეთესო ნახევარმცველად მიიჩნია ვ. ვორონინი. საერთოდ, განა ღირს ეჭვის შეტანა ვორონინის ოსტატობასა და შესაძლებლობებში, თუ წინასწარ არ ხარ მის წინააღმდეგ განწყობილი?

ამრიგად, ვორონინმა საუცხოოდ ითამაშა ალბერტის წინააღმდეგ. ჩაადუღაბა დაცვა და ტაქტიკურად სწორად იმოქმედა შუა მინდორში. საუკეთესოდ თამაშობდნენ შესტერნიოვი, პონომარიოვი, საბო. ბევრი იმუშავეს ჰუსაინოვმა, ჩისლენკომ.

მეორე ტაიმის დასაწყისში პარკუიანმა თავური დარტყმით შეძლო მეორე ბურთის გატანა და აქ გელეი უკვე დამნაშავე აღარ იყო. მაგრამ სწორედ ამ გოლის შემდეგ შეიცვალა მკვეთრად სურათი. უნგრელებმა გააძლიერეს შეტევა და ფაქტიურად მთელი შემადგენლობით გადმოვიდნენ იერიშზე. ჩვენი გუნდი კი, რომელიც მანამდე თანაბარი სიძლიერით თამაშობდა და 2 ბურთიც გაიტანა, უცებ მოეშვა, უკან დაიწია და საჯარიმო მოედანში ჩაიკეტა. აქ შესანიშნავი თამაშით გამოიჩინა თავი გუნდის კაპიტანმა ა. შესტერნიოვმა, რომელიც დაცვის ნამდვილი სულისჩამდგმელი შეიქნა. მთელი ჩვენი გუნდი თავს იცავდა თავგანწირვით, ფეხბურთელებმა გამოიჩინეს ნებისყოფის უდიდესი სიმტკიცე, გამოავლინეს შესაძლებლობათა მაქსიმუმი, და თითქოს საჩუქრად, სწორედ ამ მომენტში რაკოშიმ კარიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით ააცილა ბურთი მიზანს. ერთადერთი გოლის გატანა შეძლო ბენემ და საბჭოთა ფეხბურთელებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი — 2 : 1. ჩვენი გუნდი პირველად გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში, ეს კი ნიშნავდა იმას, რომ სულ ცოტა IV ადგილი განაღდებული გვქონდა.

ამავე დღეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა გმირულად იბრძოლა პორტუგალიელთა წინააღმდეგ და თუმცა ანგარიშით წინ იყო (3 : 0), მაინც დამარცხდა — 3 : 5.

დარჩა მხოლოდ 4 გუნდი.

ფეხბურთი და ანტიფეხბურთი

ნახევარფინალური მატჩი „უემბლიზე" სანიმუშო ფეხბურთს წარმოადგენდა. ეს პრინციპული მატჩი იყო, ვინაიდან სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლები ხვდებოდნენ ერთმანეთს. ერთ მათგანს, ლათინური ამერიკისას, წარმოადგენდნენ პორტუგალიელები, ხოლო მეორეს, ანგლოსაქსურს, თვით მისი ფუძემდებელნი.

მართალია, გამოცდილების ფართო გაზიარების გავლენით, ამ ორ სკოლას შორის საზღვარი თანდათან ქრება, მაგრამ გარკვეული განსხვავება მაინც არის და ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ამ უმაღლესი დონის მატჩში.

შეხვედრის დიდ მნიშვნელობას თითქოს უნდა შეეზღუდა ორივე გუნდის მოთამაშეები, ეკარნახა მათთვის ზედმეტი სიფრთხილე, დაცვითი ტაქტიკა, ე. წ. „მოლოდინის პოლიტიკა".

ინგლისელთა და პორტუგალიელთა მიერ არჩეული შეტევითი ღია ფეხბურთი კი ხალისს აძლევდა არა მარტო მაყურებლებს, არამედ ფეხბურთელებსაც. ისინი მოქმედებდნენ თამამად, ჩვეულებრივზე უკეთ, სრული გაქანება მისცეს თავიანთ ნიჭს, ყოველ შემთხვევაში, ინგლისის ნაკრებს ჩვენ პირველად ვხედავდით ასე კარგად მოთამაშეს. გუნდი თითქოს გარდაიქმნა, არც ერთი პორტუგალიელი არ დასდევდა ბ. ჩარლტონს და არც ერთი ინგლისელი — ეუსებიოს. ისინი იბრძოდნენ არა მჭიდრო, პერსონალური დაცვის ბლაგვი იარაღით, არამედ ფინტის, დრიბლინგის, ზუსტ გადაცემათა მახვილით. მატჩი მიმდინარეობდა საფეხბურთო კლასიკის ყველა კანონის დაცვით და ტრიბუნებზეც განუწყვეტლივ ისმოდა ტაში. ფეხბურთის ამ სპექტაკლში მონაწილეობდნენ ისეთი სოლისტები, როგორიც ბ. ჩარლტონი, ეუსებიო, ბოლი, კოლუნა, კოენი, აუგუსტო არიან. ამავე დროს მატჩმა განგვაცვიფრა კოლექტიურობით, საზრიანობით, ტაქტიკური მოქნილობით, ორიგინალურობით და ტექნიკური ვირტუოზულობით. ერთი სიტყვით, ეს იყო ექსტრა-კლასის მატჩი. შეიძლება ამიტომ ჩვენამდე არც აღწევდა მსაჯის სასტვენი. ამას გარდა, თამაში უაღრესად კორექტულად მიმდინარეობდა. პირველი სასტვენი ფრანგმა მსაჯმა შვინდტმა მისცა მხოლოდ 33-ე წუთზე თამაშგარე მდგომარეობისთვის. პირველ ტაიმში შვინდტმა დასტვინა სულ 4-ჯერ, ხოლო მთელი მატჩის განმავლობაში — 12-ჯერ. ამას უნდა დავუმატოთ, რომ სასტვენთა უმეტესი ნაწილი გამოწვეული იყო ოფსაიდით და ორიც — ხელით შემთხვევითი თამაშისთვის. ყველაფერი ეს პატიოსანი სპორტული ბრძოლის დამადასტურებელია. როცა თამაში დამთავრდა, ფრანგმა ჟურნალისტმა ჟ. რეტაკერმა მკითხა: „როგორია?" მე ვუპასუხე:

— მე რომ კომპოზიტორი ვიყო, მუსიკას დავწერდი ამ მატჩზე.

გაგრძელება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 31, 32, 33, 36, 37, 41, 42.

როგორც ვიტყობინებოდით, გასულ კვირას ქალაქ ინცელის ყინულის სტადიონზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში შესანიშნავად იასპარეზა ევროპისა და მსოფლიოს წლევანდელმა ჩემპიონმა ჰოლანდიელმა კ. ფერკერკმა, რომელმაც ჯერ 3000 მეტრზე სწრაფმავალთა დაამყარა მსოფლიოს ახალი რეკორდი (მაგრამ იგი ხნეზმა მალე დაიბრუნა), ხოლო შემდეგ 1500 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდს გაუტოლა.

ს უ რ ა თ ზ ე: კ. ფერკერკი ასპარეზობისას.

ფეხბურთის ქრონიკა

● **შოტლანდიის** ფეხბურთელთა ნაკრებმა ბოლოსდაბოლოს „მიაგნო" მწვრთნელს. ამას წინათ ეს პოსტი საზეიმო ვითარებაში დაულოცეს ბ. ბრაუნს, რომელიც ბოლო 8 წლის მანძილზე ერთ-ერთი საკლუბო გუნდის ტექნიკური დირექტორი გახლდათ. ბრაუნი ადრე „გლაზგო რეინჯერსის" კარს იცავდა და რამდენჯერმე ნაკრების შემადგენლობაშიც იყო შეყვანილი.

● **ურუგვაის** ფეხბურთის კავშირს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. იგი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზე დიდ ბიზნესს ვარაუდობდა, მაგრამ სინამდვილეში მატჩებს მხოლოდ 140 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. ყველაზე „კატასტროფულ" მატჩებად კავშირმა მიიჩნია ჩილი — ბოლივიისა და პარაგვაი — ვენესუელის შეხვედრა, რომელსაც მხოლოდ 350-მდე მაყურებელი დაესწრო. ჩემპიონატის საერთო შემოსავალია 125 ათასი დოლარი. ეს გაკოტრებას უდრის, მაგრამ ორგანიზატორები გადაარჩინა ტელევიზიამ, რომელმაც ხაზინას დამატებით 170 ათასი დოლარი მოუტანა.

● **ბრაზილიელმა** კომპოზიტორმა ე. ტეხამ დაწერა საფეხბურთო სიმფონია, რომელშიც ორკესტრის ტრადიციული საკრავების გარდა ჩართულია მსაჯის სასტვენი, გულშემატკივართა ყვირილი, ტრიბუნების რეაქცია მას შემდეგ, რაც გუნდმა გაიტანა გოლი და სასწრაფო დახმარების მანქანების სირენა. სიმფონია 3-ნაწილიანია: სტარტი, 11-მეტრიანი დარტყმა და ფინიში.

კორტინა დ'ამპეცოს ფესტივალზე

გუშინწინ იტალიის ქალაქ კორტინა დ'ამპეცოში გაიხსნა სპორტული ფილმების XXIII საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალზე აჩვენებენ 9 საბჭოთა სურათსაც. მათ შორისაა ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნაწარმოები „ბურთი და მოედანი".

იხ. შემდეგ ნომერში...

უცხოელები წერენ

ბულგარელმა ჟურნალისტმა დ. მიშევმა დიდი მუშაობა გასწია იმის დასამტკიცებლად, რომ სპორტში წარმატებისთვის ასაკი გადამწყვეტი არ არის. მის წიგნში მრავლად შეხვდებით სპორტული დღეგრძელობის მაგალითებს: ნორვეგიელი მსროლელი ო. სვანი 73 წლისა იყო, როცა ოლიმპიური მედალი მოიპოვა. შვეციელმა ცხენოსანმა ჰ. კირმა კი 58 წლისამ აიღო IV ადგილი ერთ-ერთ ასპარეზობაში. ავსტრიელი ა. ტანგრაჩიც 72 წლისა დაეპატრონა IV ადგილს ცხენოსნობაში.

იმის დასტურად, რომ 40 წლის შემდეგაც თამამად შეიძლება მოიხვეჭო ოლიმპიური დიდება, მიშევის წიგნში ნაამბობია საბჭოთა მოჭიდავე არსენ მეკოკიშვილზე. იგი ხომ 40 წლისა იყო ოქროს მედალი რომ მოიპოვა.

პოლონურმა ჟურნალმა „სპორტოვეცმა" გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ლაპარაკია სსრ კავშირის ქალთა ბოლო საჭადრაკო ჩემპიონატის შედეგებზე.

ჟურნალი წერს: „ტურნირში არ მონაწილეობდა მსოფლიოს ჩემპიონი, ფენომენალური მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი, არ გამოდიოდა მისი მეტოქე ბოლო მატჩში ა. კუშნირი. ზვორიკინაც მხოლოდ მთავარი მსაჯი გახლდათ პაექრობისა, მაგრამ ეს ჩრდილს ვერ მფენს ნანა ალექსანდრიას გამარჯვებას".

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

დღეს

ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაცია, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, ი. ასლანიშვილის სახელობის ენდოკრინოლოგიური სადგური, საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოება აწყობენ სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს დამსახურებული ექიმის **სოსო ასლანიშვილის** ხსოვნის აღსანიშნავ საღამოს.

დასაწყისი 20 ს.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „დინამოს" სტადიონი. 1 მარტი. საერთაშორისო შეხვედრა. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „გურნიკი" (პოლონეთი). დასაწყისი 18 ს.

ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 1 მარტი. თბილისის ქალთა და ვაჟთა ჩემპიონატები. გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 17 ს.

ტყვიის სროლა. ავჭალის სასროლეთი. 1 მარტი. რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები კოლექტივების პირად-გუნდური შეჯიბრება. დასაწყისი 10 ს.

სპორტის 7 სახეობაში

დღეს ქალაქის სპორტულ ბაზებზე იწყება თბილისის ტექნიკუმების სპარტაკიადა სპორტის შვიდ სახეობაში. მოგვყავს სპარტაკიადის კალენდარი:

ქართული ჭიდაობა. 1-8 მარტი. „ლოკომოტივის" დარბაზი. დასაწყისი 16 ს.

კალათბურთი. 1-9 მარტი. ტრანსპორტის სამმართველოსა და ლენინის სახელობის სპორტდარბაზები. დასაწყისი 9 ს.

ცურვა. 3-4 მარტი. „შრომითი რეზერვების" საცურაო აუზი. დასაწყისი 16 ს.

ფრენბურთი. 7-12 მარტი. „ლოკომოტივის" დარბაზი. დასაწყისი 16 ს.

მძლეოსნობა. 11-12 მარტი. ლენინის სახ. სტადიონი. დასაწყისი 16 ს.

ტანვარჯიში. 14-18 მარტი. „დინამოს" დარბაზი. დასაწყისი 16 ს.

საგზატკეცილო ველორბოლა. 26 მარტი. ნატახტრის გზატკეცილი. დასაწყისი 11 ს.

ИНДЕКС 68445 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 00584